№ 357 1918 წ. კვირა. ოქტომბრის 13. № 357

სახალხო. საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

საქართველოს პარლამენტში ცხარე კამათის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს რეგლამენტი, რომლის ძალითაც ეროვნ. უმცირესობათა წარმომადგენლები რუსულად ილაპარაკებენ.—„ფორვერტსი" მოითხოვს გერმანიის მთავრობისაგან ვილსონის ნოტის მიღებას.—ყირიმმა უკრაინის პირობები არ მიიღო.

ღრმა მწუხარებაში მყოფი მშობლები მიხეილ და ანა, მისი და შურა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელ შვილის და ძმის

პეტრე (პეტია) მიხეილის ძის პატარაიას

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოში, გამოსვენება სამშაბათს ოქტომბრის 15-ს 10 საათზე. 2037

ნაფიცი ვექილი გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია და—ძმით და ცოლშვილითურთ გულითადის მწუხარებით ამცნობს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის ძმის

ერეკლე (ჩიკჩიკ) თევდორეს ძის ჟორდანიას

ტრაღიკულად დაღუპვას ამა ოქტომბრის 10-ს, გორის მაზრის სოფ. კასპის მახლობლად. პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღეს, ოქტომბრის 13-ს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა მიცვალებულისა სოფ. კასპში (რკინის გზის სადგური) ორშაბათს, ოქტომბრის 14 ს. 2036

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.
სამშაბათს, ოქტომბრის 15-ს, 1918 წ.
წარმოდგენილი იქნება:

მელანიას ოინები

კომ. 4 მოქ. ჰაუპტმანისა გადმოკეთებული კ. მესხის მიერ.
მონაწილეობენ: ქ.ქ გოგოლაშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, ჭიაურელი, ბ.ბ. ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, მეტრეველი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, თავდგირიძე, ჭანკვატაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ 50 კ—დე.
რეჟ. კ. ნ. გოცირიძე, რეჟ თანაშემწე ალ. ბადრიძე.
სახ. სახ. წარმ. ადმინისტრაცია
2034

განცხადება

კვირას, ოქტომბრის 13-ს, ქართულ სახიე
„ძმურ ნუგეშში" იმართება

საღამო

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.

ამ დღეს დილიდან დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

საღამოთი გაიმართება

კაბარე

მონაწილეობენ: ს. ფაშალიშვილი, გ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, არ. ჰუმბაძე, ი. მჭედლიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

იქნება ამერიკული აუქციონი და სხ.
ამ დღით საგანგებოდ იქნება მომზადებული
ქართული სადილი.

1918—19 წლის საოპერო სეზონი

სახელმწიფო თეატრი

დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

კვირას. ოქტომბრის 13-ს, **„ევგენი ონეგინი"** ოპერა 3 მოქმ. მუს. ჩაიკოვსკისა
მომქმედნი პირნი: ლევიცკისა, სპიტკო, იანსა, ოვსიანიკოვისა, ზალიპსკი, პოლიაევი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი.
დირიჟორი სამოსუდი. დასაწყისი 8 საათზე.
კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.
ანონსი: ოქტომბრის 14-ს „ჟიდოვკა", 15-ს „კარმენ", 16-ს „მანონი". 1332

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, ოქტომბრის 13-ს და ხვალ 14-ს გაიმართება

რადიონ ყუბანელის

გასტროლი. მონაწილეობენ აგრეთვე „სამი ეშმაკი", ზინკოვსკები, ძმ. ვიქტორი და დიმი და მთელი დასი.
მუსიკა იწყება 7 ნახ საათზე, წარმოდგენა 8 საათზე.
მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2038

მსურს შევკრიბო ქართველი ბავშვების

1) პატარა ჯგუფი 5—6 წლიანებისა საბავშო ბაღის პროგრამით საძეცადინოდ.
2) ჯგუფი გიმნაზიის პირველ კლასისთვის მოსამზადებლად.
გიმნაზიის მასწავლებელი ნინო ყიფშიძისა.
მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 98. 2030

დღეს დილის 11 საათზე წრის ბინაზე (მიხაილოვის ქ № 102).
სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია წრის

საზოგადო კრება

რადგანაც ეს კრება მეორედ არის დანიშნული ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს კრებაზე. განსახილველია: გასულ სეზონ ხარჯები, ხარჯთ აღრიცხვა და გამგეობის წევრთა არჩევნები. 234

სოფლის კოოპერატივების საყურადღებოდ

ტფილისის მომარაგების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ მას აქვს გადადებული სოფლის კოოპერატივებზე გასასყიდად ასი ათასი წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმისა (ბიაზისა). წყვილი ღირს ხუთი თუმანი.
მისამართი: მომარაგების კომიტეტი, ტფილისი, შტაბის ქუჩა 2. 1358

ქუთაისში

სასწრაფოდ იბეჭდება. ◆ ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო

„მნათობი"

ანბანს შემდეგ პირველი წიგნი სკოლებში სახმარებელი, შედგენილი იოს. ოცხელის, სამ. ყიფიანისა და დომ. ოყრეშიძის მიერ
ფასი 4 მანეთი.
მისამართი: კ. ოცხელის წიგნის მაღაზია. 1363

განცხადება გზათა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს საჯაროდ გაყიდოს ყოფილ ძირითადი პარკის ქონების ნაწილი, რომელიც დაწვრილებით ჩამოთვლილია განსაკუთრებულ უწყებაში.

იმ პირებს, რომელთაც სურთ გაეცნონ ქონების სიას, უმორჩილესად ვსთხოვთ, მობრძანდნენ გზათა სამინისტროს შენობაში. (პეტრე-დიდის ქუჩა № 8 სალიკვიდაციო განყოფილება) 12 საათიდან 2 საათამდე.
დღე საჯარო ვაჭრობისა ცალკე იქნება გამოცხადებული. 2035

ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, ოქტომბრის 20-ს დილის 12 საათზე დანიშნულია კლუბის წევრთა საგანგებო კრება.

განსახილველია: 1) შეცვლა წესდების მე-9 მუხლისა, 2) ქართულ ლატარიისათვის ფულის გადადების შესახებ, 3) მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 1364

იყიდება ხელმისაწვდენ ფასებში ღვინის სავაჭრო. ღვინით და თავის საჭირო აღჭურვილობით. უკვე სწარმოებს მშვენიერი ვაჭრობა, პირობების გაგება შეიძლება მიხეილის პროსპ. № 98—სასტუმრო „ოლიმპი"-ს კანტორაში. 8 6 საათ. 2029

ტფილისი, ოქტომბრის 13.

ოსმალეთი. საზავო მოლაპარაკებამ და დასავლეთის ფრონტმა სრულიად დაჩრდილა აღმოსავლეთის საკითხი. ჩვენთვის კი ამ მხარეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მეომარ მხარეთა ძალთა განწყობილებას აქ საზავო მოლაპარაკებამდე შეუძლია ერების სვე-ბედი გადასჭრას.

საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ახალქალაქის და ახალციხის მაზრები დაუბრუნდა საქართველოს. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც სასტიკი დიპლომატიური ბრძოლა გვიწევდა პაწია სოფლებისათვის, ოსმალეთის აგენტები ისაკუთრებდნენ საქართველოს გულ-ღვიძლს და ეს მათ მიაჩნდათ უზენაეს სამართლიანობის დაცვად. დღეს კი ჩვენს წინაშე საოცარი ცვლილება მოხდა ოსმალეთის პსიქიკაში, ისინი უკვე გრძნობენ და ფორმალურადაც აღიარებენ, რომ მათი პრეტენზია საქართველოს ნაწილებზე მხოლოდ ძალადობას შეიცავდა და არა სამართალს. ხსენებულ მაზრებიდან უკვე გაიყვანეს ჯარი, გაჰყავთ აგრეთვე აღერბეიჯანიდანაც და ამნაირად ხდება ამიერ-კავკასიის განთავისუფლება ოსმალეთის კლანჭებიდან.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა რესპუბლიკამ. საქართველოს არ შეუძლია დიდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილები ღვთის ანაბარად მიატოვოს და არ დაიცვას იგი მტრებისაგან, რომელთა რიცხვი ამ ჟამად არც ისე მცირეა. ოსმალეთმა თვითონვე დაინახა თავისი შეცდომა, როცა საუკეთესო ნაწილი თავისი ჯარისა ჩვენს შემუსვრას მოანდომა, ამით შეასუსტა პალესტინის ფრონტი და დაღუპა მთელი ორი არმია ისედაც ღარიბი ოსმალეთის ჯარისა. დამასკის აღება, ორი არმიის სრული განადგურება ოსმალეთისათვის აუწერელი ზარალი და უბედურებაა, მას აღარ შეუძლია ეს დანაკლისი ახალ ძალების მობილიზაციით აანაზღაუროს, მით უმეტეს, რომ გერმანია ეხლა გართულია სამსოფლიო ზავის, და შინაურ პოლიტიკის და დასავლეთის ფრონტის საქმეებში. აშკარაა, ერთად ერთი გამოსავალი ოსმალეთისათვის ამიერ-კავკასიაში ავანტიურისტულ პოლიტიკისათვის თავის დანებებაა და იგი ეხლა ხედავს: რაც მალე თავს დააღწევს ბათომ-არტაანისა და ყარსის ხაზს—მისთვის უმჯობესი იქნება, ჯარი გაუნთავისუფლდება და ეგების ამა გზით თავი დააღწიოს სრულს კატასტროფას.

ისეთი ობიექტიური მდგომარეობა შეიქმნა პალესტინასა და ევროპაში, რომ ერებმა მთლიანად უნდა დაიბრუნონ რაც მათ სამართლიანად ეკუთვნის. ამ პირობების მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, ოსმალეთი საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებისათვის არა თუ დროზე არ დაცლის ბათომსაც, ლაზისტანზედაც უნდა დაისვას საკითხი, სადაც ქართველ ერის ღვიძლი შვილები ცხოვრობენ. ჰაიასტანში უნდა გაიშალოს სომხის ერის დროშა და ამ განაწამებ ერს მიენიჭოს თავისუფალ ცხოვრების პირობები.

ოსმალეთს მხოლოდ ამ გზით შეუძლიან ამიერ კავკასიას მეგობრულად თავი გაანებოს და ამნაირად თავისი მდგომარეობაც განამტკიცოს. აქაურ ერებს კი გვმართებს: ძმურად ხელი მივცეთ ერთმანეთს, განვამტკიცოთ საშინაო ცხოვრება. მოვახდინოთ ძალების მობილიზაცია და სათანადო ადგილებს ვეპატრონოთ, რათა საერთო ძალ-ღონით კიდევ უფრო ადვილად შევძლოთ საშინაო ეროვნულ და საგარეო საერთო ცხოვრების მოგვარება.

საჩიფათო ნაბიჯი. საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი მორიგი კრება სამარცხვინოდ დასრულდა. პარლამენტის უმრავლესობამ, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, თავისი უმრავლესობით ისარგებლა და რეგლამენტის საშუალებით მიიღო ისეთი წესები, რომლებიც უარჰყოფენ პარლამენტისავე მიერ მიღებულ კანონს. საქართველოს პარლამენტში ერთხელ უკვე იყო აღძრული საკითხი უმცირესობის მიერ თავისი დედა-ენის ხმარებისა. მაშინ პარლამენტმა, კანონის დადასტურებით, ცხადად და გარკვეულადა სთქვა, რომ სახელმწიფო ენა ქართული ენაა, რომ პარლამენტში შეიძლება ლაპარაკი ან სახელმწიფო ან დედა ენაზე.

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მაშინ სცადა კანონებში ისეთი კორექტივი შეეტანა, რომელიც ყირამალა დააყენებდა კანონს და საქართველოს პარლამენტში მოქალაქობრივ უფლებას მოუპოვებდა რუსულ ენას, როგორც სახელმწიფო ენის პარალელურ ენას. საქართველოს პარლამენტმა უარჰყო ასეთი კორექტივი და ამ რიგად თავისი ვოტუმით შეუძლებელი გახადა რუსული ენის შემოტანისა, როგორც სახელმწიფო ენასთან თანასწორი უფლების მატარებელი ენისა.

მიუხედავ ამისა სოციალ დემოკრატიული ფრაქცია მაინც დაუბრუნდა ამ საკითხს და მიხვეულ-მოხვეულის გზით, მიკიბულ-მოკიბულად, რეგლამენტის წესით უარჰყო ძველი დადგენილება და საქართველოს პარლამენტს კანონი თავზე გადააფხრიწა.

ფრაქციამ თავისი სიჯიუტე და პარტიული გაუტანლობა პარლამენტარისტულ ტრადიციებზე მაღლა დააყენა და უხეში ძალით, მექანიკურის უმრავლესობით მოისურვა აბუჩად აგდება არა მთელი დანარჩენი დემოკრატიული სექტორისა, არამედ თვით პარლამენტის მიერ მიღებული კანონისაც კი.

ეს უკვე ახალი ტონია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკისა; ტონი განკერძოვებისა და სურვილი მხოლოდ **თავის საკუთარ ძალებზე** დაყრდნობისა საკანონმდებლო მუშაობაში და ალბად მართვა-გამგეობის საქმეშიაც.

თუ ეს ასეა, თუ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისთვის ფასი მხოლოდ იმ მექანიკურ უმრავლესობასა აქვს, რომელიც მათა ყავთ, მაშინ ძალა-უნებურად იბადება საკითხი: იქნება მათ ჰსურთ დემოკრატიული ფრონტი დაარღვიონ და თავიანთი, სოციალ-დემოკრატიული დიქტატურა გამოაცხადონ? ან იქნება ფრაქციას ჰგონია, რომ ის, რაც პარლამენტის მორიგ სხდომაზე მოჰხდა, არ არის დარღვევა **კოალიციის** იდეისა, არ არის დარღვევა იმ პლატფორმისა, რომელზედაც დღესა სდგას ჩვენი მთავრობა?

ნუ თუ ამას ვერა ჰგრძნობს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და, თუ ჰგრძნობს, რით აპირებს იგი იმ უხეში ძალადობის შედეგის მოსპობას, რომელმაც თავი იჩინა მორიგ სხდომაზე?

გარდამავალი ხანა

ჩვენი ცხოვრება ჯერაც ვერ ჩამდგარა ჯეროვან კალაპოტში. ყველაფერი ანგრეულ-დანგრეულია, ყველაფერი მოუწყობელია. რევოლიუციამ ძირითადი გადატრიალება მოახდინა ყველაფრისა და თითქოს ყოველივეს ხელ-ახალი შეფასება ჰდება. რევოლიუციის ნანგრევებს მიუმატა ის ნგრევა, რასაც მოითხოვდა ჩვენი დამოუკიდებლობის შენობის აგება. ჩვენ გვიხდება ახალი საძირკვლის ჩაყრა, ახალ საფუძველზე აშენება ყველაფრისა. საქართველომ ორგვარი რევოლიუცია გადაიტანა: საერთო, რუსეთისა და მეორე საკუთარი, ეროვნული. საკვირველი არაა, თუ აქამდე ვერ დავლაგებულვართ, თუ ოჯახი აფორიაქებული, აყრილ-დაყრილია. სრული ჭეშმარიტება სთქვა ერთმა გამოჩენილმა სოციალისტმა: რევოლიუცია, ბარბაროსული ფორმაა პროგრესისა, მაგრამ იგი აუცილებელია წინსვლისთვის.

ზოგიერთს გულწრფელ შემატკივარს ჩვენი ერის ბედ-იღბლისას სულს უშფოთებს ის მდგომარეობა, დღეს რომ საქართველო განიცდის. ბევრი გულგატეხილია ამით და ენერგია უდუნდება. მა-

რთლაც, საშინელების მოწამენი ვართ. საქართველოს საუკეთესო თაობანი ატარებდენ გულით იმას, ვისიც სახელიც არ ითქმოდა, ხოლო რაც დღეს უკვე სინამდვილეა—ეროვნულ თავისუფლების იდეას. ისინი ოცნებობდნენ და იბრძოდნენ, რათა ჩვენი თავი ჩვენვე გვყუდნებოდა, ამ დროსაც მოვესწარით. და რა ამბავია თავისუფალ საქართველოში?

აუარებელი ქურდობა, ზნედაცემულობა, მექრთამეობა, სიყალბის ჩადენა, ავაზაკობა და სულმდაბლობა. ადამიანები, რომელნიც ხალხის ინტერესების გულისათვის კატორღაში ლპებოდნენ—დღეს დაჩაგრულ და გაუგებარ გლეხობისაგან ქრთამის აღებას არ ერიდებიან. გადაშალეთ რომელი გაზეთიც გნებავთ და უეჭველად რამდენსამე ბოროტმოქმედებას ამოიკითხავთ. ახლა რამდენი რჩება გამოუმჟღავნებელი! იპარავენ და ჰფლანგვენ კერძო და სახელმწიფო ქონებას, დაურიდებლად ეწევიან სპეკულიაციას და ათასგვარ კომბინაციებს აწყობენ ადამიანები, რომელნიც წინად ფიქრადაც არ გაივლებდნენ ამგვარ მოღვაწეობასთან სიახლოვეს. დაიკარგა ყოველგვარი საზომი ზნეობისა, ამ ხანად აღარავის აღარაფერი უკვირს და აღარც რასმე ერიდება. შეირყა, დაინგრა ძველი მორალი და მისი ადგილი დღეს ცარიელია. მრავალმა რევოლიუცია—სპეკულიაციად გადააქცია.

ძლიერ დაეცა აგრეთვე ავტორიტეტი სწავლა განათლების. მეცნიერებისა, უვიცი და უბირი ადამიანები, რომელნიც წინად პატივით ეპყრობოდენ განათლებას და ცოდნას დღევანდელ ვაკხანალიის შემდეგ ბატონობას ჰლამობენ და უნდობლობასაც კი უცხადებენ გონებით და სწავლის შუქით განათლებულ ხალხს. ნასწავლი კაცი უსწავლელის ეშმაკიაო—აი დღევანდელი შეხედულება ჩვენის ხალხისა. უნდა ითქვას, ეს მოვლენა რევოლიუციონურ პარტიების შემცდარ ტაქტიკის და ქალაქის ბრალიცაა. ერთობა ერთობა—გაიძახოდით და ნათლად კი არ ვურკვევდით ხალხს, თუ რა შინაარსი აქვს ამ მცნებას. ისე გამოდიოდა, თითქოს გონიერების და პატიოსნების ერთობაც ახლავე შესაძლებელი ყოფილიყოს თითქოს შესაძლებელი ყოფილიყოს ყოველგვარი საქმე ჩაგვებარებინა ყველა ადამიანებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ადამიანია. აქ იყო გულუბრყვილო რწმენა ადამიანის სიკეთისა, აქ იყო ძალდატანების, პასუხის მგებლობის მოთხოვნის უარყოფა. და აი რევოლიუციის მწუხრზე ვიხილეთ ნაყოფი ჩვენი ბავშური რწმენისა, ვიხილეთ და შევძრუწუნდით.

სახელმწიფო არის განამდვილებული ზნეობრივი იდეა—ამბობს ჰეგელი ძალაუნებურად გაგონდება ეს სიტყვები ფილოსოფოსისა და ფიქრობ: რაოდენი ჭეშმარიტებაა ამ თქმაში, რაოდენი შესძლებია სახელმწიფოს! იყო ძველი რუსეთი, იყო სახელმწიფოებრივი აპარატი და იყო ზნეობრივი და ძალდატანებითი პასუხისმგებლობაც. დღეს კი თითქო კაცი კაცისათვის მგელია და არა ხიდი სახელმწიფო ჰქმნის საზოგადოებრივ ზნეობას და ცხოვრებას განსაზღვრულ კალაპოტში აყენებს და რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკა გაძლიერდება, რამდენადაც ჩვენ ჩამოვყალიბდებით სახელმწიფოებრივად, იმდენად მალე მოისპობა დღევანდელი საშინელება და ველური ვაკხანალია ადამიანის ქვენა ინსტინქტებისა

არც ერთი სახელმწიფო არ აშენებულა რამდენსამე თვესა თუ წელში ბულგარეთი, სერბია, ამის საუკეთესო მაგალითებია. თან და თანი ზრდა, განმტკიცება სახელმწიფოებრიობისა, აი, ჩვენი მიზანი, ეს მოსპობს ამ ანორმალურ ატმოსფეროს, დღეს რომ გამეფებულა ჩვენში და მრავალს მწარე ფიქრებს აღგვიძრავს საქართველოს მომავლისათვის, ყოველი რევოლიუციის, ძირითადი შეძვრის შემდეგ ყველგან ასე ყოფილა. ამიტომ ეხლანდელი სიბინძურე და ბოროტება განსაკუთრებით საქართველოს არ მიეწერება. გავა დრო, ჩვენ ჩავდგებით დემოკრატიულ სახელმწიფოს წინდა კალაპოტში და დღევანდელი უიმედობა მოგონებად და დაგვრჩება. „რათა კლასებმა არ დასჭამონ ერთმანეთი ბრძოლაში უნაყოფო და თვით საზოგადოება, აუცილებელი შეიქმნა ძალა, რომელიც ერთის შეხედვით საზოგადოებაზე მაღლა სდგას. ძალა, რომელმაც უნდა შეაკავოს შეტაკება, დაიჭიროს იგი წესიერების ფარგლებში. ეს ძალა, რომელიც წარმოსდგა საზოგადოებისაგან, მაგრამ რომელიც თავის თავს მაღლა აყენებს... არის სახელმწიფო", ამბობს ენგელსი. ასეთია მნიშვნელობა სახელმწიფოსია, რომლის უარყოფა თუნდ დღევანდელი გამოცდილების შემდეგ ყოვლად შეუძლებელია.

მაშასადამე ვიმეორებთ: საქართველო ფორმაციის ხანშია და დღევანდელი მდგომარეობა გარდამავალია. თუ ჩვენ შევქმენით ძლიერი რესპუბლიკა, განვამტკიცეთ სახელმწიფოებრიობა ნაძირალები აილაგმებიან და ჩვენი ცხოვრებაც მალე გაიწმინდება მავნე ელემენტებისაგან. წყალნი წავლენ და წამომლენ ქვიშანი დარჩებიან. და ამ ზნეობრივ გახრწნილების, დაცემის პერიოდიდან საქართველო გამოვა დაუბრკოლებელი, წმინდა, ამაყი და ძლიერი ჩვენც ამას შევსტრფით, ამ იმედით ვცხოვრობთ.

ქ. რაჭველიშვილი.

ქართული პრესა

ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის დაბრუნების გამო „ერთობაში" მოთავსებულია ფრიად მგრძნობიარე წერილი ლ. რუხაძის და მაღლაკელიძისა. ისინი სწერენ:

> სალამი მშვენიერო მესხეთო და ჯავახეთო! სალამი ტყვეობის გალიაში მომწყვდეულო და მონობის ბორკილებით შეჯაჭვულო ტურფა მხარევ! თქვენ, უკანასკნელო ქართველო გლეხებო, გუშინ რომ ოსმალთა უღელი გედგათ და ცრემლებით ემუდარებოდით შველას ქვეყანას, დღეს მოვდივართ თქვენთან ალერსი მოგვაქვს იარების გასაკურნავად და აოხრებული კუთხეების აღსადგენად..
>
> ნანგრევთა შორის დამარხულო მესხეთო, გუშინ მგლოვიარევ, რომელმაც დაკარგე იმედები და შენი შვილები მათხოვრებად გაუშვი საქართველოს ტყვე-ღრიებში, დღეს გაგიღიმა კვლავ მესხეთის მშვენიერმა მზემ და წყვდიადი, რომელიც გველივით რად ეხვეოდა ყელზე შენს ლოყა დაკაწრულ დედას, გაფანტა მისმა სხივებმა.
>
> ჩვენი ერის კულტურის დიდებავ, პოეზიის მნათობის შოთას მშობელო მხარევ, ისე როგორც 90 წლით წინად მოგხსნეს კისრიდან ოსმალთა უღელი დღესაც, სამი თვის ცრემლების და მწუხარების შემდეგ, მიდიან ოსმალთა ურდოები და შენს მშობლიურ მხარეს უერთდები, მიგიკრავს გულზე შენით მგლოვიარე დედა.
>
> ოჰ, რაოდენ სიხარულს იგრძნობს დღეს ბაკურიანის ტყეებში დავრდომილი ჯავახელები, რომელთა ცრემლი მიწას ალღობდა და შორს გადახვეწილი ლტოლვილები მიეშურებიან თავის ძვირფას კუთხეს, რომლებს [illegible] შინ დაღუპულები და სამგლოვიარო ჩადრს მოხსნიან დღესაც ტყვეობაში მყოფ სოფლებს: შოლაურს, ძველს, მუსხს, ვალეს, უდეს, არალს და ახალციხეს, მათ სამლოცველო ახალციხეს!
>
> წყევლა და კრულვა ოსმალთა ნაშთებს, რომელნიც დღეს გადაბიჯებენ ახალციხის კარებიდან და მოხსნიან მახვილს, რომელიც გულში ესო მშობლიურ დედას.
>
> სალამი მესხეთო! სალამი ჩვენო თვალ-მარგალიტო! მოვდივართ თქვენთან, მოვიჩქარით, როგორც ბავშვები და დაობლებულნი, რომლებმაც დაკარგეს დედა და მის ძებნაში ცრემლებით დნებოდნენ. ეხლა კი მშვიდად ჩაგიკრავთ გულში და ღიმილით მხურვალე სალამს გიძღვნით

საქართველოს პარლამენტი

ოქტომბრის 11. სხდომა

კრება იხსნება 2½ ს. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგშია: 1) მიღებულ კანონპროექტის საბოლოო რედაქცია და 2) სახელმწიფო ენის კანონი.

რ. არსენიძე კითხულობს საბოლოო ტექსტს საკოდიფიკაციო განყოფილების პროექტისა, კანონი მიღებულ იქმნა

მიღებულ იქმნა აგრეთვე კანონი 10 მილიონიან ფონდის აღდგენის შესახებ.

სახელმწიფო ენა.

არ. ჯაჯანაშვილი. პარლამენტის წევრნო! თქვენ ინებეთ და მიიღეთ ამას წინად კანონი სახელმწიფო ენის შესახებ თანახმად ამ კანონისა სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ქართული ენა. კამათი პარლამენტში და საქმის წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზე. მხოლოდ პარლამენტმა აღიარა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლება ილაპარაკონ თავის დედა ენაზე. სარეგლამენტო კომისიას არ ჰქონდა უფლება გადაეხვია ამ კანონისათვის და ისეთი რამ შექმნა, რაც მიღებული კანონის წინააღმდეგი იქნებოდა. სარეგლამენტო კომისიამ შეიმუშავა ერთგვარი წესები, რომელიც განმარტავს მიღებულ კანონს მაგრამ აქ ვაცხადებ, რომ სარეგლამენტო კომისიის უმცირესობა წინააღმდეგ პროექტს ადგენს, რომელიც ერთი კვირის წინად მიღებულ კანონს ძირიანად არღვევს, ჩვენ მიერ შემუშავებული წესები უმრავლესობის მიერ არის მიღებული (კითხულობს უმრავლესობის პროექტს), რადგან უმცირესობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ძირიანადი შელახვაა უკვე მიღებულ კანონ სამე სარეგლამენტო კომისიის უმრავლესობის სახელით მოუწოდებ პარლამენტის წევრებს მიიღონ უმრავლესობის პროექტი

რ. არსენიძე (სარეგლამენტო კომ. უმცირესობის წარმომად.) მიღებული კანონი ტეხნიკურად უნდა შეეფარდებინა ჩვენი პარლამენტის პირობებთან სარეგლამენტო კომისიას. უნდა შემუშავებული ყო რეგლამენტის წესით ისეთი ფორმა ამ კანონისა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განგვეხორციელებინა იგი ჩვენს პარლამენტში. მიღებული კანონით ერთა უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დედა-ენაზე ილაპარაკონ. მაგრამ ეს ჰბადებს ორ უხერხულობას: არ შეიძლება პარლამენტში ისეთი ენა ვიხმაროთ, რომელიც პარლამენტის პრეზიდიუმის არც ერთს წევრს არ ესმის (რ. გაბაშვილი ადგილიდან: ეჩმიაძინში გაგზავნეთ) ხელმძღვანელობა ვინ უნდა გაუწიოს? თარჯიმანი ხომ ვერ უხელმძღვანელებს. იძულებული ვართ ისეთი წესი შევიმუშავოთ, რომ პრეზიდიუმს საშუალება ჰქონდეს გაიგოს მოლაპარაკე დეპუტატი. მეორე უხერხულობა იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია პარლამენტში ყველა უმცირესობის ენაზე იქმნეს ლაპარაკი, ამიტომ ჩვენ გავიფართოვეთ მიღებული კანონი და სარეგლამენტო კომისიის უმცირესობის სახელით მე გიდგენთ ჩვენ მიერ შემუშავებულ პროექტის ტექსტს (ჰკითხულობს პროექტს).

ამ პროექტით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიათ ილაპარაკონ რომელიმე ეროვნულ უმცირესობათა ენაზე. ამას გარდა ეროვნულ უმცირესობანი პრეზიდიუმთან შეთანხმებით ერთს დეპუტატს არჩევენ სალაპარაკოდ. კამათი და განცხადებების წარდგენა მხოლოდ ქართულ ენაზე სწარმოებს.

სარეგლამენტო კომისიის უმრავლესობისა და უმცირესობის პროექტის მოსმენის შემდეგ იმართება კამათი.

გრ ვეშაპელი (დამოუკ. ნ-დ.) უმცირესობის წინადადება ჩვენ მიგვაჩნია მიღებულ წესის დარღვევად. „საქართველოს რესპუბლიკის" 6 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია ეს კანონი (კითხულობს კანონს) ხელს აწერენ პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია; ესე იგი შესრულებული ყველა ფორმულობა და მაშასადამე კანონიც სავალდებულოა ყველასათვის, მით უმეტეს პარლამენტის წევრებისათვის. უმცირესობის პროექტში ნათქვამია: ეროვნულ უმცირესობის წარმ. შეუძლია არა დედა ენაზე ლაპარაკი არამედ იმ ენაზე, რომელიც პრეზიდიუმს ესმისო აქ ჩვენ საქმე გვაქვს რუსული ენის შემოტანასთან. ამას მოითხოვს ეხლა არსენიძე. რომელიც ამ ერთი კვირის წინად სწორედ ამის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მაშინ ის ამბობდა, რომ ისე ი დეპუტატისათვის არ ვსწერთ ჩვენ ამ კანონს ვინც სამშობლო არ იცისო. დღეს კი, სჩანს, ის სწერს ასეთი დეპუტატებისათვის. არ ვიცით რომელი კომბინაციის ბრალია ეს.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ: ეს ძირითადი დარღვევაა მიღებული და გამოქვეყნებული კანონისა. ისეთ განმარტებას, რომელიც არსენიძემ წარმოგვიდგინა, დემოკრატია ჩვეული იყო სენატისაგან როდესაც კანონი მიღებულია, ჩვენ ვალდებული ვართ ყოველივე ტეხნიკური დაბრკოლება გადავლახოთ და შევასრულოთ იგი. პრეზიდიუმს არ ესმისო: ამისათვის საჭიროა ლოღიკური ნაბიჯი გადავდგათ და პრეზიდიუმში მოვიწვიოთ უმცირესობათა წარმომადგენელნიც. მეორე დაბრკოლება—თარჯიმანები არ გვყავს, გამოწვეულიაო ხარჯი საკითხით არის გამოწვეული. განა ეს მიზეზია: როდესაც მილიონები იკარგება საბეჭდავ ექსპედიციაში, ჩვენ აქ გვეუბნებიან თარჯიმნებისათვის დიდი ხარჯია საჭიროო.

ჩემი წინადადება არის სარეგლამენტო კომისიას უფლება არ ჰქონდა ძირითადი კანონი დაერღვია და ამიტომ ასეთ წინადადებას ჩვენ ვერც კენჭს უყრით. თუ საჭიროა მიღებულ კანონის შეცვლა ის უკან დაუბრუნდეს საკონსტიტუციო კომისიას.

პ. საყვარელიძე („ალიონელი"), ბატონებო! უმცირესობის პროექტი არღვევს ძირითად კანონს: ჩვენ უფლება მივეცით არა დეპუტატს, არამედ ერს. და ამიტომ კანონში სწერია: „ეროვნულ უმცირესობათა წარმ. შეუძლიათ სამშობლო ენაზე ილაპარაკონ." ჩვენ რომ ამის უფლება მივანიჭოთ დეპუტატს არა სამშობლო ენაზე ილაპარაკოს, არამედ რომელ მე სხვა უმცირესობის ენაზე მაშინ გამოდის, რომ ჩვენ უფლებას ვაძლევთ დეპუტატს და არა ერს. თუ საქმე მარტო „უდობსტვოშია" მაშინ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მთელი პარლამენტი რუსულად ილაპარაკებდა შეუძლებელია ძირითადი კანონის დარღვევა და ამიტომ ჩვენი წინადადებაა: უმრავლესობის კანონს ვიღებთ, როგორც შესაფერისს, ხოლო უმცირესობისას, როგორც უვარგისს, უარვყოფთ. თუ მაინცა და მაინც წარმოდგენილი პროექტის (უმცირესობისას) მიღებას აპირებთ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი უკან დაუბრუნდეს საკონსტიტუციო კომისიას. შეუძლებელია მისი მიღება: ის საშინელ პრეცედენტს ჰქმნის და ავანტიურისტულ გზაზე აყენებს ჩვენს პარლამენტს

ივ. გომართელი („ალიონელი"). მოქალაქენო! როდესაც არსენიძეს ვისმენდი, გამახსენდა ანდაზა: „ასე ჩემო მანსაო, ხან ისე და ხან ასეო". არსენიძე გაიძახოდა ჩვენ ერს ვაძლევთ უფლებას და არა დეპუტატსო. დღეს კი ჩვენ გვეუბნებიან: დემოკრატიის ინტერესი მსხვერპლად მიუტანოთ გადაგვარებულთ ინტერესსო. ეს წესი რომ მიიღოთ, ჩვენ მოწამე ვიქნებით პარლამენტის დაშლისა. დღეს ხალხი ისედაც პატივს არა სცემს კანონს და ჩვენ ამას უმატებთ იმას, რომ თვითონ ვარღვევთ მიღებულ კანონს

ივ. გობეჩია (ს.-რევ.) მხარს უჭერს უმრავლესობის პროექტს.

დ. ჩიქოვანი (ს.-დ.) მოითხოვს რადიკალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებელთა კავშირის სახელით უარყოფილ იქმნას უმცირესობის პროექტი

ს. დადიანი (ს.-ფედ.) ჩვენ ამ საკითხში, ეროვნულ უმცირესობათა მიერ ენის ხმარების საკითხში ბედმა გვარგუნა ისეთი სიტყვა ვსთქვათ, რაც არც ერთ სახელმწიფოში არ თქმულა. ჩვენ ამ საკითხში არც შვეიცარიის მაგალითი გამოგვადგება, სადაც ფედერატიული წყობილებაა, არც ავსტრო-ჰუნგრეთის ისტორიამ ისეთი მოვალეობა დაგვაკისრა, როგორიც არც ერთ სახელმწიფოსათვის არ დაუკისრებია.

თქვენს წინაშე ორი პროექტია წარმოდგენილი. რეგლამენტი უფლებას არ გვაძლევს, უმცირესობის პროექტიც იქმნეს წარმოდგენილი. წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ უმრავლესობის პროექტი და თუ კომისიის უმცირესობას ჰსურს, მას შეუძლია თავისი განსაკუთრებული აზრი ცალკე წარმოადგინოს.

მეორე ფორმალური დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქმე გვაქვს კანონის ძირითად დარღვევასთან. მიღებულ კანონში ნათქვამია: ერ. უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დედა-ენაზე ილაპარაკონ. არსენიძემ კი დღეს სთქვა ჩვენ გავაფართოვეთ ეს მუხლიო, მაგრამ იგი იმდენად გააფართოვეს, რომ მთელი კანონი ძირიანად შელახეს და დაარღვიეს ეს რომ მივიღოთ, ჩვენ იძულებული გავხდებით ერ. უმცირესობათ დავავალოთ უთუოდ რუსულად ილაპარაკონ ეს არის პრინციპიალური საკითხი: ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეპყროთ ერს, მის კულტურას, ენას და თუ უმცირესობის პროექტს მივიღებთ ჩვენ ამით ვაიძულებთ ერ უმცირესობათ ხელი აიღონ თავის დედა-ენაზე და უთუოდ რუსულად ილაპარაკონ.

აქ ჩვენ გვაწვდიან ისეთ კანონს, რომელიც მიღებულ კანონს უარყოფს. ეს ისეთი პრეცედენტია, რომელიც დასცემს პრესტიჟს ჩვენი პარლამენტისას: დღეს ვიღებთ ერთ კანონს ხვალ მას უარვყოფთ და უმრავლესობა რომ შეიცვალოს რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ უარვყოთ და ამგვარად იქმნება ბაბილონის გოდოლი.

ირ. წერეთელი (ს.-დ.) აქ ორი მხარეა: ფორმალური და არსებითი. ყველა მოლაპარაკე მხოლოდ ფორმალურს შეეხო და ჩვენ მიერ წარმოდგენილ განმარტებებს მხოლოდ ფორმალურად შეხედეს და სენატის განმარტებებსაც კი შეადარეს. განსხვავება კი დიდია: იქ კანონს იმუშავებდა პარლამენტი, ხოლო განმარტებებს იძლეოდა სენატი თავისი „ჩინოვნიკებით", აქ კი პარლამენტში მიღებულ კანონს პარლამენტივე აძლევს განმარტებებს, და თუ მაინც სენატს გვადარებენ, ეს ვიტყვი პირდაპირ, დემაგოგიაა. რეგლამენტური წესის სახით გვიდგენთ კანონსო ჩვენ რომ გვდომოდა, კანონის სახით წარმოვადგენდით განა ვერ შევსძლებდით იმავე ენერგიით ამის გაკეთებას (ქარუმიძე ადგილიდან: გაბედულება გაკლდათ). ჩვენ სტოლიპინის წინააღმდეგ არ გვაკლდა გაბედულება და ამის წინააღმდეგ—გვარი არ ვიცი (უჩვენებს ქარუმიძეზე)—დაგვაკლდება? რატომ გვიშლით მუშაობას (მიმართავს დამოუკიდებელ და არა დამოუკიდებელ ნაც. დემოკრატებს) ჩვენ კი თქვენ ისეთს საშუალებას გაძლევთ, როგორიც არც თქვენს მნიშვნელობას, არც მჭერმეტყველებას შეეფერება.

ერთი კვირის წინად წინააღმდეგი იყავით 7 ენის ხმარების, ბაბილონის გოდოლს დაემსგავსება ჩვენი პარლამენტიო, და დღეს კი ამ 7 ენას იცავთ და არ გინდათ მის ნაცვლად ერთი ენა იქმნეს შემოღებული ჩვენის მხრით ჯინიანობა იქნებოდა დავაძალოთ—რუსულად არ სთქვა შენ, სომხურად სთქვიო. ჩვენ რომ გვეუბნებიან დე პრინციპმა გაიმარჯვოს, და პარლამენტი გაჰქრესო—pereat mundus, fiat justitia—ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ.

თავმჯდომარე: წინადადებაა კამათი შესწყდეს.

მ. მაჩაბელი (დამოუკ. ნ.-დ.) ჩვენ აქ გვისაყვედურებენ რეპლიკებით უმასპინძლდებით ორატორებსო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ირ. წერეთლის სიტყვის შემდეგ კამათს სპობენ და საშუალებას არ გვაძლევენ ჩვენი აზრი დავასაბუთოდ. ამიტომ მხოლოდ ერთი დაგვრჩენია რეპლიკები უგზავნოთ, განსაკუთრებით წერეთელს, რათა ამ წესით მაინც გავაგებინოთ ჩვენი აზრი და პასუხიც მივიღოთ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ კამათის შეწყვეტისა.

რადგან რეგლამენტის ძალით, თუ 15 კაცი წინააღმდეგია კამათის შეწყვეტის, კამათი უნდა გაგრძელდეს, ამ შემთხვევაშიაც კამათი გრძელდება (შეწყვეტის მომხრეა 49, წინააღმდეგი 28).

სიტყვა ეძლევა შემდეგ ორატორს.

გაგლოევი (ს.-დ. ოსი) ილაშქრებს მარჯვენა სექტორის წინააღმდეგ და მოითხოვს უმცირესობის პროექტის მიღებას.

შემოდის წინადადება შესწყდეს კრება.

ს.-დემოკრატები და სომხის წარმომადგენლები წინააღმდეგი არიან კრების გადადების და უმრავლესობის ხმებით წინადადება უარყოფილია.

ალ. ასათიანი (ნ.-დ.) ეროვნული დემოკრატიული ფრაქციის სახელით იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთ შეცდომას საქართველოს პარლამენტი არ ჩაიდენს და უმცირესობის პროექტს უარყოფს.

თავმჯდომარე: წინადადება შემოვიდა კამათი შესწყდეს.

ირ. წერეთელი (ს. დ.) იცავს ამ წინადადებას და ობსტრუქციას უწოდებს ნ.-დ. საქციელს. „ობსტრუქციის ნებას არავის მივსცემთ—ამბობს „წერეთელი—და ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ავლაგმოთო".

რ. გაბაშვილი (დამოუკიდ. ნ.-დ.) როდესაც ამ მუქარით მოგვმართავთ, ეს განმეორებაა იმისა, რასაც ქუჩაში სჩადიხართ. წითელი გვარდია გყავთ და, რასაკვირველია, შეგიძლიანთ დაგვხვრიტოთ

კამათის შეწყვეტის მომხრეა 43, წინააღმდეგი 19. კამათიც გრძელდება, ხოლო ორატორთა სიტყვა 10 წუთით განისაზღვრება.

შ. ქარუმიძე (დამოუკიდ. ნ.-დ.) უსაყვედურებს ს.-დემოკრატებს საქართველოს აღშენების უნარს და მოაგონებს ირ. წერეთელს, თუ როგორ ზრუნავდა ის საქართველოზე, როდესაც რუსეთის მინისტრად იყავიო. „ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი იყავით და მით ადრე და ადვილად მიიღებდით დეპეშას, საქართველოს საქმეებზე ზრუნვას რომ გთხოვდნენ. და ჩვენ ღალატზე რომ მუდამ ლაპარაკობთ, გაიხსენეთ თქვენი ამხანაგები ფილიპე მახარაძე, საშა გეგეჭკორი: ასეთებს ჩვენში ვერ იპოვით".

ორატორთა სია დახურულია.

გრ. ცხილაძე (ს.-ფ.) ამ საკითხში, როგორც ბ. ირ. წერეთელმა ბრძანა, ორი მხარეა: ფორმალური და არსებითი.

თქვენ მოისმინეთ განცხადება, რომ ჩვენ, ს. დ. ფრაქციას, შეგვეძლო გაგვეყვანა ეს, როგორც კანონი, და არა როგორც რეგლამენტიო. ეხლა საკითხავია, თუ რატომ გაატარეს ეს, როგორც რეგლამენტი და არა როგორც კანონი ამის პასუხს თვით მათს განცხადებაში ვპოვებთ. კანონი იყო დეკლარაციაო დეკლარაცია, ბატონებო იმას ნიშნავს, რომ კანონს ნუ დაუჯერებთ, რადგან ის დეკლარაცია არისო. ყველაზე უსაშიშრესია უნდობლობა კანონებისადმი და დღეს კი თქვენ ასეთი უნდობლობა კანონისადმი მოისმინეთ უმრავლესობის პარტიის წარმომადგენლისაგან.

ცალ-თვალ ახვეულს!

ნანინ, შენ გიძღვნი, შენ!..

ახ, ნეტამც ვიყო ან ექიმი, ან დოსტაქარი—
გამოგიწერდი ქვეყნის წამალს, ნაირნაირსა:
ხუთოს, მურდასანგს, ჯავზს, ყარამფილს, ინდუსყაირსა,
რომ ამეცდინა მაგ თვალისთვის სიკვდილი ჩქარი.

მითხარ: რათა გაქვს ჩითმერდინით თვალი აკრული?
რად იმზირები აგრე ქეშად, აგრე ირიბად?
შენი შემყურე გადავიქეც მტირალ ტირიფად.
წყეულიმც იყოს ეს ყისმათი ზვავი და კრული.

ერთმა მიამბო,—და მე მაინც ვწუხვარ ამ ამბით,—
როს ბრძოლის ველზედ სუფევდაო ხმლების სიბასრე,
როს დაჭრილ მხედარს უხვევდაო ჭრილობას ბამბით—
მოჰხვდა მტრის ტყვია და ცალთვალა დასტოვა ასრე!

მეორემ მითხრა: ძილი უყვარს ზანტ-ზარმაცული!
როცა ჯაფარამ იხილაო მწოლარე ზანტად:
თურმე ეგ თვალი სჩვენებოდა მზის ბრილიანტად,
ჩაეკრა ჰანგი და... დაგტოვა თვალ-გამარცული!

მე კი შენ მსურხარ! მე შენ უნდა გამიზიარო:
რად ჰხურავს შენს თვალს ჩითმერდინის თეთრი ბადიმი?
აჰ! ნეტამც ვიყო ექიმბაშის კარაბადიმი,
რომ დღეში ცხრაჯერ სამკურნალოდ ჩემთან იარო!

ი. გრიშაშვილი.

უმცირესობის პროექტის დამცველმა თავის საბუთები ყალბ საფუძველზე ააშენა: რაც კანონში არ არის აღკრძალული, იმის მიღება შეგვიძლიაო. სამოქალაქო კანონებში ეს შეიძლება, მაგრამ პოლიტიკურ კანონებში ამას არას დროს არა აქვს ადგილი. ნათლად არის ნათქვამი: ან სახელმწიფო ენა ან დედაენა; მესამე არ არსებობს. თქვენ კი გინდათ რუსულ ენაზე ალაპარაკოთ ერ. უმცირესობათა წარმომადგენელნი

თითქოს თვითონ ეშინიანთ იმისა, რასაც იღებენ, პირდაპირ ვერ სთქვეს ეს არის ახალი სახელმწიფო და იქ ორი ენა არისო: ქართული და რუსულიო. ამის თქმა არ შეეძლოთ და დაჰფარეს—სთქვეს სხვანაირად.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ რაც ჰსურს სოც.-დემოკრატიას, დეე კანონით განახორციელოს და არა რეგლამენტის ძალით. კანონიერება არის საბუთი ჩვენი სიმტკიცისა. თუ მაინცა და მაინც გსურთ თქვენი პროექტი გაატაროთ, შემოიტანეთ ის კანონის სახით.

ცხადია, ჩვენი სახელმწიფო არც ერთ ეროვნებას არ შეავიწროვებს: ყოველი ღონით ხელს შეუწყობს მის კულტურულ განვითარებას. ჩვენ მოვისმინეთ აქ სომხის სიტყვა, რომ ის საქართველოს მოქალაქეა, მისი შვილია, და ჩვენ არ გვინდა მათ იმ ენაზე ილაპარაკონ, რომელიც მისთვის და ჩვენთვის უცხოა.

თუ თქვენ გნებავთ უკეთესად გავიგოთ ერთმანეთი, შემოიღეთ და რუსულად ვილაპარაკოთ.

მ. მაჩაბელი (დამოუკ. ნ.-დ.) ილაშქრებს ს.-დ. და უმცირესობის პროექტის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: წინადადება შემოვიდა შესწყდეს კამათი.

წინადადება არ გადის და კამათიც გრძელდება.

რ. გაბაშვილი (დამოუკ. ნ.-დ. რ. არსენიძის წინააღმდეგ ილაშქრებს. „საკვირველია—ამბობს რ. გაბაშვილი—დაშნაკელები, არსენიძის აზრით, აქ დემოკრატები არიან, სომხის ერის ინტერესებს იცავენ. ორშაბათს კი იგივე არსენიძე, შეიძლება სხვა არსენიძე იყო აქ, „ჩინოვნიკების" წარმომადგენლებს უწოდებდა მათ. მე არ მესმის, როგორ შეიძლება პრივილიგიები მიეცეს. ერ. უმც. წარმომადგენლებს: ქართველს მხოლოდ ქართულად შეუძლია ლაპარაკი, ხოლო სომხებს რა ენაზედაც ჰსურთ"-

წინადადება შემოდის კრება 10 წუთით შესწყდეს. ყველა მომხრეა, გარდა ს.-დემოკრატებისა. კრება გრძელდება.

ი. გობეჩია (ს.-რევ.) იცავს უმრავლესობის პროექტს.

ს. დადიანი (ს.-ფ.) ველოდით, რომ ბ. წერეთელი მაინც დაგვიმტკიცებდა წარმოდგენილ პროექტის საბუთიანობას. მაგრამ რამდენიმე ორატორმა არ ილაპარაკა, ვერც ერთმა ვერ დაამტკიცა ეს და ვერც ბ. წერეთელმა.

მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ბ. გაგლოევის ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრების შესახებ ს. ფედ., სოც.-რევ. და ალიონელები ნაც.-დემოკრატებს შეუერთდნენო: სულმა სული იგრძნო, ისინი წვრილ ბურჟუაზიულ პარტიას წარმოადგენენო. ს.-დემოკრატებს არ შეფერის ამის თქმა, მით უმეტეს, ეხლა, როდესაც ხვალ-ზეგ მიწის საკითხი იქნება დასმული, სადაც თქვენ წმინდა წვრილბურჟუაზიულ ნიადაგზე სდგახართ.

სიტყვა ეძლევა მომხსენებლებს:

არ. ჯაჯანაშვილი. მე მსურს შევეხო. ჩემ მიერ წარმოდგენილ პროექტის ერთს დამცველს, მან თავის დაცვაში შეიტანა სიძულვილი და მხოლოდ ამ სიძულვილის გრძნობით იყო განმსჭვალული პროექტს რომ იცავდა. სიძულვილის გრძნობაში ვეშაპელთან ერთად არას დროს არ ვიქნებით და მგონია, ამაში დამეთანხმებიან კომისიის უმრავლესობის წევრებიც, რომელთა სახელით აქ მე ვლაპარაკობ.

კომისიის ერთად-ერთი მოსაზრება იყო არა შეზღუდვა ერ. უმცირესობათა არამედ ის, რომ უპირატესობა არ მიენიჭებიათ იმ ენისათვის, რომელიც საუკუნეს განმავლობაში სტანჯავდა საქართველოს. არ უნდა დაბრუნდეს ის ენა, რომელიც წინამორბედია რუსული აგრესივობისა.

მეორე მოსაზრება იყო ის, რომ რეგლამენტის წესები, შემოღებული უმცირესობის პროექტში, არსებითად ეწინააღმდეგება კანონს.

რ. არსენიძე ძველი საბუთებით იცავს უმცირესობის პროექტს.

თავმჯდომარე საკითხს სვამს, თუ რომელ პროექტს უყარონ კენჭი, რომ იგი დაედვას საფუძვლად.

ს. დადიანი (ს.-ფ.) კენჭი უნდა უყაროთ მხოლოდ უმრავლესობის პროექტს.

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ.-დ.). რეგლამენტით მხოლოდ ერთი მოხსენების შემოტანა შეიძლება.

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი ვეშაპელი მართალი ბრძანდება. მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ ასეთი შემთხვევა უკვე გვქონდა. ღერბის პროექტი ორი იყო წარმოდგენილი.

ვიდრე კენჭის ყრა დაიწყებოდეს განცხადებები შემოაქვთ მოტივებისათვის ფრაქციათა წარმომადგენლებს. რადიკალ-დემოკრატები, დამოუკიდებელთა კავშირი, ნაც. დემოკრატები და დამოუკიდებელი ნ.-დემოკრატები აცხადებენ, რომ უმცირესობის პროექტ თუ კენჭს უყრიან ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ და დარბაზს დასტოვებენ.

სოც.-ფედ. აცხადებენ, რომ უმცირესობის პროექტის განხილვის დროს წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

ალიონელები და ს.-რევ. უარს ამბობენ ამ პროექტის მუხლობრივ განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

უმრავლესობის პროექტი უარყოფილია 46 ხმით, წინააღმდეგ 21-ისა.

უმცირესობის პროექტის მუხლობრივ განხილვის მომხრეა 46, წინააღმდეგი 6.

მიღებულია უმცირესობის პროექტი

მიიღეს ს.-ფედერალისტთა მოთხოვნით დამატება, რომ ეროვნულ უმცირესობათა სიტყვები არ იქმნას გადათარგმნილი,

მეორე დამატება წარმოადგინა პარლამენტის წევრმა გაგლოევმა: ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ განცხადებები შეიტანონ არა ქართულ ენაზე.

სხდომა გათავდა საღამოს 6 საათზე.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 10—11. დღეს სამხრეთ-დასავლეთით მტერმა შეტევა დაიწყო ტრინვიგის სექტორზე, სკარპის სამხრეთით. ვინაიდან პოლკები სცდილობდნენ სეილის იქით წაწევას, მაგრამ დიდად დავაზარალეთ და მოვიგერიეთ. კამბრესა და სენ კანტენის აღმოსავლეთით მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა საღამოს მტერი იყო დაახლოვებით ნავეს-სენ-ვაასტის ხაზზე, მაღლობებზე სოლესმა-ლე კატოს დასავლეთით და უაზის დასავლეთ ნაპირას ორინისა და ლა-ფერს შუა. ნაწილობრივი ბრძოლაა მდ. ენზე მერრი ო-ბაკთან. სიუპთან და არნაზე იგი მოვიგერიეთ. სენ-ეტიენსა და ენს შუა საზურგო პოზიციებზე დავიხიეთ და ეირის ჩრდილო ნაპირისაკენ. უკან დახევა წესიერად სწარმოებდა მაასის დასავლეთ ნაპირას მტერმა განაახლა იერიშები. მაასის აღმოსავლეთ ნაპირას ამერიკელებს მთელი დღის განმავლობაში იერიშები მოჰქონდათ. ბრანდებურგისა და საქსონიის პოლკებმა მტრის ყველა იერიშები მოიგერიეს.

სექტემბრის განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე მტრის 773 ჰაეროპლანია განადგურებული 96 საჰერო ბალონი. მიუხედავად იმისა, რომ მტრის ძალა ჩვენსას აღემატებოდა იმათ 107 ჰაეროპლანი დაჰკარგეს ბრძოლაში.

ბერლინი 10—11. ჩვენი ახალი ხაზების წინ კამბრესა და სენ კანტენის აღმოსავლეთით და მაასის ორივე მხრით მტრის იერიშები დამარცხდა. კამბრეს ჩრდილოეთით ახალი ბრძოლა ძლიერდება.

პარიზი 10—11 . . . (დასაწყისი არ მოსულა). აღმოსავლეთით ფრანგებმა, აიღეს სოფ. ოსუვი-, ნეივილი, კორუა, მაშოლი, კონტრეფი, სენ-ბორელი, და მდ. ენზე სავინი. მათ მოაღწიეს ბიშკურტს, მონტ-სენ-რემისა და სენ-მარის, ვუზიერის სამხრეთ-დასავლეთით 3 კილომეტრის მოშორებით. შმენ-დედამზე იტალიელები ფრანგებთან ერთად ბრწყინვალედ მიიწევენ წინ. მათ აიღეს ვანდრესი, ტრუაიენი, კურტე-კტონი, სერსი. ფრანგებმაც დაიპყრეს კიუისი, იუვინი, ბესის ტყე და შმენ-დე-დამს მიაღწიეს ელის მიმართულებით. შენიშნულია, რომ გერმანელები სწვავენ ყველაფერს, ვიდრე დაიწევედნენ.

ბალკანეთის ფრონტი

ბერლინი 10—11. ახლად ჩასული ჯარები სერბებსა და ფრანგებს შეუერთდნენ ნიშის სამხრეთით.

ზავის გარშემო

ტრანს-ოკეანეს პრეს ბიუროს ცნობა. გერმანული პრესა იხილავს საერთო მდგომარეობას და ზავის საკითხს და უბრუნდება ვილსონის სიტყვებს ხალხთა ლიგის შესახებ. „ფორვერტსი" ჰხედავს ვილსონის საზავო პროგრამას და შენიშნავს, რომ ეს პირობები მიღებულია გერმანიის მთავრობას მიერ, როგორც საფუძველი საზავო მოლაპარაკებისათვის. „ამ პროგრამის მიღება საზავო მოლაპარაკების საფუძვლად—სწერს გაზეთი—ნიშნავს იქ მოხსენებულ თეზისების თავისად არის მიჩნეული და განზრახულია მოლაპარაკების საშუალებით მათი ცხოვრებაში გატარება. მაგრამ ეს იმას სრულებით არ ნიშნავს, რომ პროგრამა იმ მთავარ პუნქტად უნდა გადაიქცეს, რომელიც სულ სხვა შედეგამდე მიგვიყვანს. თუ მოწინააღმდეგე მხარეს კიდევ რაიმე ეჭვი ეპარება, საჭიროა ამ ეჭვების განფანტვა გულწრფელად. „ფორვერტსი" სთხოვს გერმანიის მთავრობას მიიღოს ვილსონის პროგრამა მთლიანად, ამით განფანტოს დიპლომატიური ორჭოფობა და აჩვენოს მსოფლიოს, რომ გერმანია მზად არის ახალი წესების დამკვიდრებისათვის

უცხოეთი

გერმანული პრესის ცნობა

სოფია. გაზეთები აღფრთოვანებით ეგებებიან ახალი მეფის ბორისის ასვლას ტახტზე, აქებენ მის ღრმა დემოკრატიულ აზრებს და ბულგარელებისადმი სიყვარულს. ბულგარეთის საზოგადოებრივი აზრის სურვილია, რომ ახალი მეფის ტახტზე ასვლით ახალი ერა დადგეს ბალკანეთის ერთა ცხოვრებაში.

კიევი. ცენტრ. რადის ყოფილი საზღვაო მინისტრი ანტონოვიჩი დაინიშნა უკრაინის გენერალურ კონსულად სტოკჰოლმში. შვეიცარიაში გენერალურ კონსულად დაინიშნა ვილ ნსკი.

„კიევსკაია მისლი" იუწყება: გუშინ თათბირი გაიმართა უკრაინასა და ყირიმს შორის. მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაქვეყნა უკრაინის დეკლარაცია, რომელიც მხარს უჭერს უკრაინისა და ყირიმის შეთანხმების პირობებს. ყირიმის დელეგაციის თავმჯდომარემ ვომატოვიჩმა განაცხადა, რომ უკრ. მინისტრ პრეზიდენტის მიერ წამოყენებული პირობები ყირიმისათვის მიუღებელია. ცალკე მუხლებზე ის ნოემბრის 10 თვის გასცემს პასუხს

მცხეთის დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, ოქტომბრის 16-ს.

ახალი ამბავი

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ** გზათა მინისტრი ფინანსთა მინისტრს შემდეგს ატყობინებს: „თანახმად სახაზინო რკინის გზათა უფროსის მომართვისა ოქტომბრის 8-ს გაცნობებთ, რომ მოსამსახურეების 240 მანეთის მომატების შემდეგ გზათა მმართველობა მეტად დიდ დაბრკოლებებს განიცდის. მოსამსახურეთათვის ჯამაგირის დარიგების საქმები, რასაც ზედ ერთვის ის გარემოება, რომ ხშირად ბანკი სრულიად არ გზავნის ფულებს მმართველობის კასაში, მართალია სადგურთა შემოსავალი ამ ბოლო დროს გადიდდა, მაგრამ არა იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს ამ ემოსავლით ყველა მიმდინარე ხარჯის დაფარვა. მოსამსახურეების და მუშახელოსნები, როგორც იტყობინება გზათა უფროსი, სიძვირის თანდათან ზრდისა გამო სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, მოითხოვენ ჯამაგირების თავის დროზე დარიგებას და გაისმის მოწოდება გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ.

ვინაიდან გზათა მართველობა მოკლებულია საშუალებას დააკმაყოფილოს მოსამოსამსახურეების მოთხოვნილება ფულის უქონლობისა გამო, ხოლო მოხსენებული უფროსი კი უკვე მეორეჯერ გზავნის ამ გვარ შუამდგომლობას გზათა სამინისტროში, გთხოვთ მოახდინოთ შესაფერი განკარგულება, რომ რკინის გზის მართველობას ყოველ დღე ეგზავნებოდეს მოსამსახურეთა ჯამაგირების მისაცემად 200,000 მანეთი და მით თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი საქმეთა გართულება ამ ნიადაგზე".

◆ **ობოლთა თავშესაფარი**. ქართულ წითელ ჯვრის საზოგადოებამ დაადგინა გახსნას ტფილისში თავშესაფარი 100 ობოლ ბავშვისათვის.

◆ **ნავთი**. გზათა სამინისტროს რწმუნებულმა ინჟ. ტოლსტონოგოვმა აცნობა გზათა სამინისტროს, რომ ბაქოში ადგილობრივი ნავთი ეღირება 5 მან. ფუთი, საბაჟო გადასახადი 3 მან. ფუთზე გადაზიდვა დაჯდება 2 მან 60 კაპ. დაწმენდილი ნავთი ეღირება ბაქოში 7 მან. საბაჟო გადასახადი 5 მან. გადაზიდვა 2 მან. 60 კაპ. ამ ნაირად დაწმენდილი ნავთი საქართველოს დაუჯდება ფუთი 14 მან. და 60 კაპ. ხოლო დაუწმენდავი 10 მან. და 60 კაპ.

◆ **დანიშვნანი სამხედრო უწყებაში** სამხედრო მინისტრის ბრძანებით სოხუმის პორტის უფროსად დაინიშნა არტილერიის ოფიცერი აროშიძე.

— საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის უფროსად პოდპოლკ. ვაჩნაძე დაინიშნა. ამავე ბრიგადის 2 ბატარეის უფროსად კაპიტანი მიქელაძე.

◆ **ტყვეობიდან დაბრუნებული**. სამხედრო მინისტრმა გამოუცხადა სამხედრო უფროსებს, რომ იმ ტყვეობიდან დაბრუნებულ ქართველებს და უცხო მოქალაქეებს, რომელთაც ბინა და საჭმელი არა აქვთ, აღმოუჩინოთ დახმარება: ბინით, საჭმლით და ვინც ჯარში გასაწვევი ქართველია ჩაირიცხნონ სხვა და სხვა ნაწილებში. ხოლო უცხო მოქალაქეებს სამგზავრო ხარჯები მისცენ, თუ კი მათ წასვლა შეეძლებათ სამშობლოში.

◆ **გენერალი იოს. გედევანიშვილი**. რამოდენიმე დღით ტფილისში ჩამოვიდა და კვლავ სამხედრო ასპარეზზე მიემგზავრება პარტიზანულ პოლკის უფროსი გენერალი გედევანიშვილი

◆ **ბაქოს ქართველები და სომხები**. სომხური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბაქოს აღების დროს ქართველები დიდ დახმარებას უწევდნენ სომხებს. შავქალაქში მთელი ლაზარეთი გადაარჩინეს. აგრეთვე სომხებს დახმარებას და მფარველობას უწევდნენ პოლონელები და ადგილობრივი მაჰმადიანები.

◆ **ქართული ენა გზათა სამინისტროში**. ოქტომბრის 14-დან გზათა სამინისტროში მთელი საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება.

◆ **მცხეთის მატარებლები**. ხვალ ძველის სტილით ოქტომბრის პირველია და მცხეთობა რადგან ხალხი მრავლად გაემგზავრება მცხეთისაკენ, ამიტომ რკ. გზის სამმართველომ განკარგულება გასცა ამ დღისათვის 7 წყვილმა მატარებელმა იაროს. ტფილისიდან გავა: 1. დილის 7 ს. 2. 7 ს. 60 წ. 3. 11 საათ. 4. 12 ს. 28 წ. 5. 1 ს. 8 წ. 6. 3 ს. 25 წ. და 7. 6 ს. 50 წ. მცხეთიდან წამოვა: 1) 9 საათზე, 2) 11 ს. 02 წ. 3) 12 ს. 31 წ. 4) 2 ს. 5) 3 ს. 28 წ. 6) 5 ს—ზე და 7) 8 ს. 20 წ. საღამოისა.

კვირას, ოქტომბრის 13-ს ორი მატარებელი იქნება ერთი 3 ს. და 25 წუთ. ხოლო მცხეთიდან საღამოს 5 საათზე გამოვა.

◆ **ისრაელთა პროტესტი**. დ. ონიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: ონის ისრაელებმა საზოგადო მიტინგზე დაადგინეს პროტესტი განაცხადონ ტფილისის ისრაელთა საზოგადოების მოღვაწეობის წინააღმდეგ, რომელიც თვითნებურად იწვევს ისრაელთა ყრილობას და აცნობოს ეს მთავრობას. სავსებით უერთდებით მთავრობის თავმჯდომარის განცხადებას.

◆ **დატუსაღება**. შინ. საქ. სამ. საგანგებო რაზმმა შეიპყრო სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის მოსამსახურეები გიორგი კაფაფოვი და ნიკოლოზ კუხარსკი დატუსაღეს აგრეთვე მე 9 კომისარიატის მილიციელი გოლუბიოვი და კაფაფოვის დედა ბარბალე. ყველა ამათ სპეკულიაცია ბრალდებათ ჩხრეკის დროს მათ დოკუმენტები აღმოაჩნდათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ **საგანგებო რაზმის [illegible]**. ვინაიდან ამ ბოლო [illegible] მოქმედი პირები ჩემდამი რწმუნებული რაზმის თანამშრომლების სახელით ახდენენ ოჯახთა და სხვა სავაჭრო ქარხნებთა ჩხრეკას იმ მიზნით, რომ გაიტაცონ სხვა და სხვა ნივთეულობა, ფული თუ ხორაგობა, საჭიროდ ვრაცხ გავაფრთხილო საზოგადოება და გამოაცხადო საყოველთაოდ, რომ ჩემგან აკრძალული აქვს რაზმის თანამშრომლებს ყოველგვარი გაჩხრეკა საღამოს 7 საათის შემდეგ; მასთან თითეული ნდობით და მინდობილობით აღჭურვილს თანამშრომელს თან აქვს ჩემგან მიცემული მოწმობა თავის პირადობისა ფოტოგრაფიული სურათით და ორდერი გაჩხრეკის ნებართვისა. ყოველ შემთხვევაში, როცა გამჩხრეკი წარმოადგენს საეჭვო პიროვნებას, დაეკითხეთ ტელეფონით, შესაფერ ზომების მისაღებად, ჩემს თანაშემწეს, ან მორიგ თანამშრომელს. ტელეფონის ნომერი 13—59, თანაშემწესი 7—14, მორიგი თანამშრომლის 53 განსაკუთრებული რაზმის უფროსი შინაგან საქმეთა სამინისტროსი **მ. კედია**.

კრებები

◆ **ოფიცერთა კრება** დღეს, კვირას საღამოს ხუთ საათზე სასახლეში სოც.-დემოკრატიულ საპარლამენტო ოთახში დანიშნულია კრება ოფიცრებისა ფრიად საჭირბოროტო საკითხთა გასარჩევად. კრებაზე დასწრება შეუძლიათ და სავალდებულოც არის იმ ოფიცრებისათვის, რომელნიც წარმოადგენენ მანდატებს სოც.-ფედ., სოც. დემ. და სოც.-რევ. პარტიის წევრობისას.

◆ **ქართულ-გერმანული საზოგადოების კრება**. ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე შესდგება კრება ქართულ-გერმანული საზოგადოების გამგეობისა. განსახილველია საკითხები: 1) მთავრობის სუბსიდიის მიღება. 2) მუდმივი ბინის შოვნა. 3) შტატის შედგენა. კრება შესდგება სასოფლო საზოგადოების დარბაზში, ალექსანდრეს ბაღ. ბარიატინსკის ქუჩაზე.

◆ **დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კრება** გაიმართება დღეს, ნაშუადღევის 3 ს. მიხეილის პროსპ № 83

◆ დღეს კვირას ოქტომბრის 13-ს, საღამოს 5 საათზე სასახლეში. ს. დ. ფრაქციის ოთახში იქნება კრება ამხ. ოფიცრებისა კრებაზე დასწრების უფლება აქვთ ყველა იმათ, ვინც რომელიმე სოციალისტურ პარტიას (ს. დ. ს. ფ.; ს.-რ.) ეკუთვნის საჭიროა პარტიის წევრობის მანდატი. ან პირადი ცნობა ვისიმე.

სასწავლებლებში.

◆ **ქალთა მე-6-ე გიმნაზიის** გაეროვნებულ კლასებში (საანბანოდან დაწყებული მე-4-ე კლასამდე) სწავლა უკვე სწარმოებს. მოწაფეთა მიღება გრძელდება. კერძო გიმნაზიებიდან მიიღებიან უეგზამენოდ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

რკინის გზის სოც.-ფედ. კოლექტივის კრება, გაიმართება დღეს პარტიულ კლუბში, დილის 10-ს ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

—

მოწაფეთა კრება კვირას, 13 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე, სამკითხველოს ბინაზე დანიშნულია სოციალ ფედერალისტ მოწაფეთა კრება. რადგანაც კრება აუცილებლად უნდა შესდგეს ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დააკლდებიან ამ კრებას.

—

ამხ. შალვა ნუცუბიძის მოხსენება ნაძალადევში პარასკევს დამოუკიდებელ მიზეზების გამო ვერ შესდგა, რადგან პარლამენტის საყურადღებო კრება ამ დღეს 7 ს გათავდა მოხსენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

—

ტფილისის კომიტეტის არჩევნები მოხდება დღეს, ოქტომბრის 13-ს, პარტიის მთავარ კლუბში მოხდება ტფილისის წევრთა საერთო კრება, კრების საგანია: 1) მოხსენება ტფილ. კომიტეტისა, 2) ტფილ. კომიტეტის არჩევნები. კრების დასაწყისს ამხ. გრიგოლ რცხილაძე წაიკითხავს მოხსენებას სტამბოლის კონფერენციაზე.

კრების დასაწყისი დილის 10 საათზე.

—

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 საათზე ტფილისის პარტიულ კლუბში საგანი ყრილობისა 1) მოხსენება საგუბ. კომიტეტისა. 2) მიმდინარე საკითხები 3) საგუბ. კომიტეტის არჩევნები.

ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა.

—

კვირას 5 საათზე პარტიულ ბიუროს დარბაზში დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც-ფედერალისტთა სარევ პარტიის სტუდენტთა კრება. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ

სახელმწიფო უნივერსიტეტის ს.-ფ. პარტიული ბიურო.

შეთქმულება აფხაზეთში

(მთავრობის ოფიციალური ცნობა)

მთავრობას დიდი ხანია მოსდიოდა ცნობები, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა ნაწილი და უმთავრესად თავად-აზნაურების წრიდან, დაადგარა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და მთელი სოხუმის ოლქის მცხოვრებთა ინტერესების ღალატის გზას, სცდილობდა აფხაზეთის ხალხის და მთელი სახელმწიფოს საქმეებში მოეხდინა ჩარევა, ჯერ ოსმალთა და შემდეგ ალექსეევის ჯარით. უკანასკნელ დროში ამ ჯგუფის კადნიერებამ იქამდის მიაღწია, რომ ოლქის კომისარის მარღანიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით განიზრახეს მოეხდინათ პოლიტიკური გადატრიალება. ამ მიზნით მოახდინეს ადგილობრივ სამხედრო ძალთა, აფხაზეთის ცხენოსან ასეულის და მილიციის მობილიზაცია და შემოერტყენ აფხაზთა სახალხო საბჭოს და შეიყვანეს შენობაში შეიარაღებული პირები, ხოლო გარეთ ტყვიისმფრქვეველებით გამაგრდნენ. ასეთ პირობებში, აფხაზეთის სახალხო საბჭო, მის შემადგენლობაში მყოფ მოღალატეთა შეიარაღებულ ძალ-დატანების გამო მოკლებული იყო საშუალებას ემოქმედა სამშობლოს საკეთილდღეოდ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო-რა ყველა ეს მხედველობაში და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრნი არ იყვნენ არჩეულნი იმ წესით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესთა ნამდვილ გამოხატულებას. ოქტომბრის 10-ს სხდომაზე დაადგინა: 1, აფხაზთა სახალხო საბჭო მის დღევანდელ შემადგენლობით დათხოვნილად ცხადდება, ახალი არჩევნები დაინიშნება თანახმად საყოველთაო საარჩევნო პრინციპისა. 2, არჩევნების საწარმოებლად ინიშნება ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან: ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილი გურჯუა, ექიმი პაშალიძე და გიორგი შანშიევი. ამ კომისიას ეძლევა უფლება თავმჯდომარის არჩევისა და საჭირო პირთა კოოპტაციით მოწვევისა. დროებით, ახალ საბჭოს არჩევამდე, სოხუმის ოლქის კომისრად ინიშნება ბენია ჩხიკვიშვილი, ქუთაისის საგუბერნიო კომისარი, რომელსაც ექვემდებარებიან სოხუმში ყველა მომქმედი ნაწილები მისი დანიშნულ ადგილზე მისვლამდე უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლებით აღჭურვილია სოხუმის რაზმის შტაბის უფროსი თუხარელი. 4, აფხაზთა სახ. საბჭოს დათხოვნის გამო, აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას რწმუნებულება დასრულებულად ჩაითვალოს და აფხაზეთის საბჭოთა წარმომადგენლობა დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

5, აფხაზეთის სახ. საბჭოს ქონების დაცვა და ახალ საბჭოსადმი მათი გადაცემა მიენდო ახლად დანიშნულ ცენტრალ საარჩევნო კომისიას.

თეატრი და ცხოვრება

სახელმწიფო თეატრი.

დღეს სდგამენ ოპერა „ევგენი ონეგინს“, მთავარ როლს შეასრულებენ ქ-ნი ვოლ ლევიცკისა და ბ-ნი ორდა.

დრამა „ტარტო“

დღეს მეორედ სდგამენ ზღაპარ-დრამას გ. ჰაუპტმანის „დაძირულ ზარს“. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი როქსანოვისა, ბ-ნი მიხაილოვსკი და რეიჰშტადტი.

ოქტომბრის 19-ს კონსერვატორიის დარბაზში, ცნობილი სკრიპკის დამკვრელი ია ფიშბერგი ჰმართავს ამ სეზონში პირველ კონცერტს.

კვირას, ოქტომბრის 13 ს. დემოკრატიულ კლუბ „მუშტაიდ“-ში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ მსახიობ ვ. ფრანგიშვილის მონაწილეობით გაიმართება მორიგი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „შენი ჭირიმე“ შ. დადიანისა და „მათიკოს“ მესამე მოქმედება. ფასები სახალხოა.

გურიის დამხმარე კომიტეტის საყურადღებოდ

გურიის დამხმარე კომიტეტისაგან ჩოხატაურის რაიონში დანიშნულია ერთი ექიმი და რამდენიმე ფერშლები, რომლებიც უფასოდ უწევენ საზოგადოებას საექიმო დახმარებას. თუ რა სარგებლობა მოიტანა და შეუძლიან მოიტანოს მომავალში ასეთმა კომიტეტის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა, აქ მე ამის დაფასების არ შეუდგები, რადგანაც ეს ნათელია ყველასათვის ზემოხსენებულ რაიონში, მით უმეტეს ეს სრულიადაც არ შეადგენს ჩემი წერილის მიზანს. მე მინდა მივაქციო კომიტეტის და საზოგადოებას ყურადღება ერთ არანორმალურ და მეტად აღმაშფოთებელ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ჩოხატაურის საექიმო „პუნქტში“. საქმე შემდეგშია: როგორც დანამდვილებით ვტყობილობთ, აღნიშნულ „პუნქტში“ უნდა იყოს დანიშნული კბილის ექიმად ლ. კალანდაძე, რომელიც ყოველ თვიურად ღებულობს ჯამაგირს 1000 მ., ხოლო რისთვის, ალაჰმა უწყის. საზოგადოებამ სრულიადაც არ იცის, თუ აქ უფასო კბილის ექიმი არის დანიშნული, რათა მათ საშუალება მიეცეთ ისარგებლონ ასეთი დახმარებით. მე აი მგონია და დარწმუნებულიც ვარ, რომ კბილის ექიმის მოვალეობა იყო ეცნობებინა საზოგადოებისათვის, რომ ის უფასოდ დაეხმარება მათ. მაგრამ ასეთი რამ სინამდვილეში არ მომხდარა და არ ხდება. კბილის ექიმი ამბულატორიაში არავის დაუხახავს, ის სახლში ზის და სასყიდლით ექიმობს ხალხს. საკვირველია ჯამაგირს რაში ღებულობს! საჭიროა ვიცოდეთ რაშია საქმე! აგრეთვე ფრიად და საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ამ შემთხვევაში რა ზომებს ღებულობს აქაური ექიმი ბ. სიხარულიძე, რომელიც ყოველთვიურად კბილის ექიმს აძლევს 1000 მ. და მას ამბულატორიაში სამუშაოდ არ ხედავს! მისი მოვალეობა კი იყო მიექცია ამ არანორმალურ მდგომარეობისათვის ჯეროვანი ყურადღება და ხალხის ფულები ტყუილუბრალოდ არ გადაეყარა, მაგრამ ვის რა ენაღვლება ხალხს ფულები, ხომ გაგიგონიათ „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“ ასე იქცევა ექიმი ბ. სიხარულიძე. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ კი იმდენი შეძლება იყო, რომ ამ რაიონში კბილის ექიმს დანიშნოდა თვეში 1000 მ. ჩვენი ღრმა რწმენით უმჯობესი იქნებოდა მიგვექცია ყურადღება ისეთი მრავალრიცხოვანი და ჩოხატაურიდან მოშორებულ საზოგადოებაზე, როგორც ერკეთია. აი ამ საზოგადოებებში რამდენიმე ათასი მცხოვრებია და ისინი უპატრონოდ არიან მიტოვებულნი საექიმო დახმარების მხრით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კვირაში ერთი დღე ეწვევა ხოლმე მათ ჩოხატაურიდან ფერშალი. სწორედ ამ საზოგადოებაში უნდა დანიშნულიყო ფერშალი და ბებია ქალი იმ კბილის ექიმის ნაცვლად, რომელიც ჯერ ჯერობით ჩვენი გაჭირვებული ხალხისათვის „დესერტს“ წარმოადგენს.

ვათავებ რა ამ წერილს, ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ კომიტეტი ამაზე ჯეროვან პასუხს გასცემს და თვით ჩოხატაურის ექიმიც ბ. სიხარულიძე გაგვიმარტავს იმას, თუ რაა მიზეზი იმის, რომ მისდამი რწმუნებულ „პუნქტში“ კბილის ექიმი მხოლოდ ქაღალდზე არის აღნიშნული „ოცი რიცხვისათვის“ და საზოგადოებამ კი ამის შესახებ არაფერი უწყის

მგზავრი.

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში

არ ყოფილა არც ერთი დარგი მოსამსახურეებისა კულტურულად ისე ჩამორჩენილი, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის მომუშავენი. ამის მიზეზი უმთავრესად ძველი წყობილებით შექმნილი პირობები იყო. ნამდვილი ტიპი „ჩინოვნიკისა“, რომელიც ნ გოგოლმა დახატა, თითქმის სრულიად უცვლელად რჩებოდა ჩვენში. მართლაც ეს უბრალო ავტომატად ქცეული, 18 საათის მომუშავე, ბიუროკრატიის ბრჭყალებში ჩახლართული, ნახევრად მშიერი მოსამსახურენი ოცნებაშიაც არ ზრუნავდნენ კულტურულად წინსვლასა და განვითარებაზე. აღმატება, უფროსის სიმპატიის დამსახურება ლაქიობა, აი რა იყო მათი საზრუნავი. რევოლუციის ბრწყინვალე მონაპოვრებმა, ეს უსულო, ცოცხალ მკვდარი ხალხიც აამოძრავა, და მათაც სიცოცხლის ნიშნები აღმოაჩნდა ისინიც აჰყვნენ საერთო ფეხის ხმას და ქვეყანას ამცნეს რამოდენიმე მოწინავე პირთა წყალობით, რომ გოგოლის ბაშმაჩკინებსაც აქვთ რაღაც კულტურული და ეკონომიური მოთხოვნილებანი. აი, რა ითქმის საერთოდ რუსეთის ფ. ტ. მოსამსახურეებზე.

ჩემს მიზანს შეადგენს კერძოდ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა დახასიათება. საქართველოს ტერიტორიაზე ნახევრამდის არა ქართველნი მსახურებდნენ და უმთავრესად კი რუსის მოხელეობა. სრული ჭეშმარიტებაა, ეს ხალხი უკანასკნელ დღემდის პირნათლად ასრულებდა რუსეთის ბიუროკრატიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას. საქართველოს ფ. ტ. მოსამსახურეთა პირველ ყრილობაზე მათი ფიზიონომია გამოაშკარავდა. ყოველივე სიტყვა, მოქმედება, საქართველოს დამხობას ეტრფოდა. ქართველი დელეგატები საკმაოდ მომზადებულნი დახვდნენ მათ ზრახვებს და სასტიკად დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის ორგულნი: ცენტრალურმა გამგეობამ კი სულ გასწმინდა უწყება ასეთ მავნე ელემენტებისაგან სამსახურიდან დათხოვნით.. აი სწორედ აქედან დაეტყო ქართველ მოსამსახურეთ გამოფხიზლება. ამოქმედნენ, შეუდგნენ დადებით მუშაობას, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი რესპუბლიკის ინტერესებთან დაუკავშირებული არ ყოფილა. მართლაც მოულოდნელი იყო როდესაც ქართველი დელეგატები პირველ ყრილობაზე ჯამაგირის მომატების წინააღმდეგ აძლევდნენ ხმას, მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი 220—300 მან. არ აღემატებოდა. და თუ გამგეობამ მოთხოვნილებით მიმართა მთავრობას მხოლოდ მას შემდეგ, რაც გასაქანი აღარ იყო და სიმშილი ფიზიკური არსებობის მოსპობას უქადდა. ცხადია, სახელმწიფო დაწესებულებებს ისეთ ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოსათვის, როგორიც არის საქართველო უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე საჭიროა შტატი შეგნებული და სანდო იყვეს. ამ ფრიად საყურადღებო საკითხს ჩვენმა მთავრობამ თავისი წარმომადგენლებით არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოწინავე ამხანაგებმა ალღო აუღეს და საკუთარი ძალებით შეეცადნენ ჩამორჩენილ ამხანაგების კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებას. ნახევრად მშიერნი ამხანაგებმიც საკმაო თანაგრძნობით შეეგებენ ამ საქმეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ეგოისტური აზრით გამსჭვალულ მავნე ელემენტებისაგან შეტანილ დისსონანსს მწყობრ მუშაობაში. თამამად შეგვიძლიან ქება შევასხა ფოთის კანტორის მოსამსახურეთა მოქმედებას. მიუხედავად ეკონომიურად უმწეო მდგომარეობისა მათ შესძლეს კულტურული მუშაობის გაშლება. გახსნეს სამკითხველო, მოაწყვეს საჩაიე, და წრე სადაც საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის შესწავლას შეუდგნენ. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პატარა სცენა, გირლიანდებით დამშვენებული, და სისტემატიური (შაბათობით) ლექცია-საღამოების მართვა. პატარა გუნდი მგალობელთა ხოშტარიას მეთაურობით, სიმებიანი ორკესტრი გ. დოლიძის ხელმძღვანელობით, დივერტისმენტები, რომელშიაც უმთავრესად გუშინდელი „მოპარუსკე“ ქალები ღებულობენ მონაწილეობას, წარმოდგენები, მოხსენებები თვით ფ. ტ. მოსამსახურეთა მაგალითად ამხ ხელაძისა, „რა უნდა აკეთოს თანამედროვე ქართველმა“.

ამხ. ტულუშის მომენტზე და ქართულ ლიტერატურაზე, და სხვა. ყველა მონაწილეს სიტყვაში ის აზრია გატარებული, რომ გავხდეთ საქართველოს ნამდვილი მოქალაქენი, ნუ დავრჩებით რუსის „ჩინოვნიკებად“, შევქმნათ მჭიდრო კავშირი: დიალაც რომ საქებარი და მისაბაძია ეს მშვენიერი მაგალითი. ამოძრავება ეტყობა პერიფერიებსაც. ტფილისი ამ მხრით უკეთეს პირობებშია. არსებობს მშვენიერი გუნდი მგალობელთა ქურთიშვილის მეთაურობით, დრამატიული წრე სულთანიშვილის რეჟისორობით. სცენა, ფურნე და 400 000 მანეთად ღირებული ბიბლიოთეკა. ახლად არჩეული სარაიონო გამგეობაც შეუდგა საქმის გაფართოებას და მალე გახსნის კოოპერატიულ სავაჭროს, სამკითხველოებს, სადალაქოებს, სასადილოებს, საჩაიეს, სახარაზოებს და შეუდგება ლექციების და წარმოდგენების მართვას ოლქის უფროსმაც დ. მგელაძემაც დახმარება აღუთქვა. იმედია, დაწყებულ საქმეებს დანარჩენი ამხანაგებიც განსაკუთრებით ქუთათურები მიბაძავენ. მაშ ამხანაგებო მუშაობა ინტენსიური, რადგან ეს აუცილებელია დასახული მიზნების განხორციელებისათვის,

გ. ტულუში.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის

ა. ლევენშტეინისა

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭიჭების. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ.

კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

ექიმი **კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი **გ. ბ. მეფისაძე** ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიხვის ქ. № 19. 992

ექიმი **ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია.** იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი **მრევლიშვილი** მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი **ლ. ა. ხარაღიძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი **მ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყარალანოვის ქ. № 6.

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი **ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი მ. მ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დღუსი ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

ექიმ **ა. ა. ლევენშტეინის კაბინეტები** წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულებით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭიჭების ავადმყოფობა, ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ. 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი **ქალი რ. ბ. შიშლო-სახაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზგებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა **ჭიასამიძემ** განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სად. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 18—08. 2010

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და სად. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი **პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 106[illegible]

ექიმი **წულუკიძე.** განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი **გ. ი. ხარიშვილი.** მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვიროობით მხოლოდ დილ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 801

ექიმი **ი. ქ. აბაკელია** შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოლინინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშინგი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. მ. აგახარიანცი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ნ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი.

ნ გ ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. იხაკიანი: 6—7½ ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვ. ს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

კერძო სამკურნალო

ექ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის

სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეხვაძე შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ექ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტუხმალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება ორივე ექიმი. 2019

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვეში 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა